მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N16

ქ. წალენჯიხა 29 ივლისი 2015 წელი

**სხდომას თავმჯდომარეობდა:**
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 27 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ასმათ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, დავით ბელქანია, მერაბ კვარაცხელია, ავთანდილ გაბელია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, ივერ კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია, ცოტნე მესხია, კობა შანავა, ვლადიმერ კვარცხელია, ნონა კვარაცხელია, მარინა კალანდია, ელგუჯა მესხია, კახაბერ ციმინტია.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა გულორდავა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილე:გიორგი ლუკავა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , არასამთავრობო ორგანიზაციის და მასმედიის წარმომადგენლები.

**სხდომა დაიწყო:** 12:00სთ.
**სხდომა დასრულდა:** 13 : 40სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს წევრმა ელგუჯა მესხიამ მოითხოვა დღის წესრიგით გათავლისწინებულ სხვადასხვა საკითხზე განცხადებისთვის დროის დათმობა.

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებასთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით ერთხმად იქნა დამტკიცებული ( მიღებულიქნა განკარგულება N42)

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივლისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე.
მომხსენებელი:თემურ ღვინჯილია–საკრებულოს თავმჯდომარე

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიში „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ“.
გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: კორნელ კვარაცხელია-მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: დავით სოსელია, გამგეობის საფინანსო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

5. ა(ა)იპ-ის „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ- „სქურის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების თაობაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია-გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

6. მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია-გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

7. შპს „ ჯვარის აგრარული ბაზარი“-ს წესდებაში ცვლილების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია-გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისთვის“ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია-გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ხვიჩა მებონია-გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფახულანის ადინისტრაციულ ერთეულში ცხოვრებ დალი ლატარიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით თანხმ ობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ასმათ კვარაცხელია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

11.სხვადასხვა

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიში „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ“.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა კორნელ კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი 4 – კახაბერ ციმინტია, ელგუჯა მესხია,მარინა კალანდია, ავთანდილ გებელია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N43) .

**მოისმინეს: 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსმა დავით სოსელიამ.

ა.გაბელიამ მოითხოვა განმარტება თუ რატომ გაიზარდა ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯები წინა წლებთან შედარებით, რაზეც განემარტა რომ ავტომობილები გაიცვითა და საჭიროებს შეკეთებას.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 23დეპუტატი, წინააღმდეგი 14 – მარინა კალანდია, ელგუჯა მესხია, კახაბერ ციმინტია, ავთანდილ გაბელია. ) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N44)

**მოისმინეს: 4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო სახითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი 4 – კახაბერ ციმინტია, ელგუჯა მესხია,მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N34)

**მოისმინეს: 5.** ა(ა)იპ-ის „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ- „სქურის" შექმნისა და წესდების დამტკიცების თაობაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება ( N45) .

**მოისმინეს: 6 . მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება ( N46)

**მოისმინეს: 7 . შპს „ ჯვარის აგრარული ბაზარი"-ს წესდებაში ცვლილების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ სამოქალაქო ალიანსი"–ს წარმომადგენელმა ნინო მჭედლიშვილმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა იმ სავალალო მდგომარეობაზე რაც შეიძლება მოყვეს თუ ბაზრის შენობა დროულად არ იქნა შეკეთებული და ეს პრობლემა უნდა იყოს გათვალისწინებული 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 23დეპუტატი, წინააღმდეგი 4 – მარინა კალანდია, ელგუჯა მესხია, კახაბერ ციმინტია, ავთანდილ გაბელია. ) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N47)

**მოისმინეს: 8 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისთვის" სარგებლობის უფლებით გადაცემაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება ( N48)

**მოისმინეს: 9 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ხვიჩა მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება ( N49)

**მოისმინეს: 10 .** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფახულანის ადინისტრაციულ ერთეულში ცხოვრებ დალი ლატარიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ასმათ კვარაცხელიამ
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება ( N50)

**მოისმინეს: 11. სხვადასხვა**
საკრებულოს წევრმა ელგუჯა მესხიამ მოითხოვა განმარტება თუ რა სტადიაშია მეზონიას ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, რომლებიც ითხოვენ სანიაღვრე არხის მოწყობას, რაზეც განემარტა, რომ უახლოეს დღეებში მოხდება ამ საკითხის შესწავლა და ეცნობებათ წერილობით.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

**სხდომის თავმჯდომარე:** თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 29 ივლისი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N42

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, მეორე ნაწილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

I. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 29 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივლისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე.
მომხსენებელი:თ. ღვინჯილია–საკრებულოს თავმჯდომარე

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიში „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ".
მომხსენებელი: კორნელ კვარაცხელია-მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
მომხსენებელი: დავით სოსელია, გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ
მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

5. ა(ა)იპ-ის „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ- „სქურის" შექმნისა და წესდების დამტკიცების თაობაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.
მომხსენებელი: თენგიზ ფიფია, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

6. მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
მომხსენებელი: ხვიჩა მებონია-გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

7. შპს „ ჯვარის აგრარული ბაზარი"-ს წესდებაში ცვლილების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ხვიჩა მებონია-გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისთვის" სარგებლობის უფლებით გადაცემაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ხვიჩა მებონია-გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ხვიჩა მებონია-გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფახულანის ადინისტრაციულ ერთეულში ცხოვრებ დალი ლატარიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით თანხმ ობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ასმათ კვარაცხელია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

11. სხვადასხვა

II. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 ივლისი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N43

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიში „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ."

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს მე–16 მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიში „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ", შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალიას ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №34

2015 წლის 29 ივლისი

ქ. წალენჯიხა

**„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება„ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის №15 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/08/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.104.016161) და დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას დაემატოს 13¹ მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 13¹. გამგებლის თანაშემწე**

1.გამგებლის თანაშემწეს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2.გამგებლის თანაშემწე:

ა) უზრუნველყოფს გამგებლის დავალებების და მითითებების შესრულებას;

ბ) ხელსუწყობს გამგებელს უფლებამოსილების განხორციელებაში;

გ) იღებს გამგებლის დავალებებს, აღრიცხავს მათ და ანაწილებს შესაბამის სამსახურებზე, უზრუნველყოფს კონტროლს მათ შესრულებაზე;

დ) მონაწილეობს გამგებლის მოქალაქეებთან შეხვედრებში და გამგებელთან მოქალაქეების მიღებაში; აღრიცხავს შეხვედრებისას დასმულ საკითხებს და კოორდინაციას უწევს მათ გადაწყვეტას;

ე) ამზადებს სხვადასხვა ინსტანციებში მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმართვების პროექტებს.

3. გამგებლის თანაშემწეს, უფლებამოსილების განხორციელებაში კოორდინაციას უწევს, ხელს უწყობს და საჭიროების შემთხვევაში სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 ივლისი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N44

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე" პუნქტის „ე.ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში და განკარგულებით დამტკიცებული დანართი N2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით. /დანართი 13 ფურცლად/.
2. მუნიციპალიტეტის გამგეობამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს ადგილობრივი შესყიდვების გეგმის წარდგენა სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში".
3. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიას.
4. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალიას ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

"დამტკიცებულია"
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2015 წლის 29 ივლისის №44 განკარგულებით
საკრებულოს თავმჯდომარე თღვინჯილია

დანართი №1

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა

| | |
|---|---|
| | შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი 242739248 |
| შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება *წალენჯიხის მუნიციპალიტეტი* | დაფინანსების წყარო *ცენტრალური ბიუჯეტი* |
| სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა დაფინანსების წყაროს შესაბამისად 5236300 ლარი | |

| № | დანაყოფის კოდი | დანაყოფის დასახელება | სავარაუდო ღირებულება | შესყიდვის საშუალება | შესყიდვის დაწყების სავარაუდო ვადა | შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავარაუდო ვადა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 45200000 | სამშენებლო სამუშაოები სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ | 673000 | გამარტივებული შესყიდვა | IV კვარტალი 2014 წ | II კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №2033. 7.11. 2014 წ. გარდამავალი. |
| 2 | 45200000 | სამშენებლო სამუშაოები | 67000 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი 2014 წ. | I კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №34. 13.01. 2014 წ. გარდამავალი ხელშეკრულება |
| 3 | 45233142 | გზის შეკეთების სამუშაოები | 101000 | ელექტრონული ტენდერი | II კვარტალი 2014 წ. | II კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №311. გარდამავალი ხელშეკრულება |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 45200000 | სამშენებლო სამუშაოები სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ | 400000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი 2015 წ | III კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №2551. 30.12.2014 წ. გარდამავალი. |
| 5 | 71320000 | საპროექტო საინჟინრო მომსახურება და საექსპერტო მომსახურება | 146070 | გამარტივებული ელ. ტენდერი | I კვარტალი 2015 წ | II კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 39. 2015 წლის 20 იანვარი |
| 6 | 71320000 | საპროექტო საინჟინრო მომსახურება და საექსპერტო მომსახურება | 25200 | გამარტივებული შესყიდვა | II კვარტალი 2015 წ | III კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 7 | 45214100 | საბავშვო ბაღების მშენებლობა | 550695 | გამარტივებული ელ. ტენდერი | II კვარტალი 2015 წ | IV კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №39. 2015 წლის 20 იანვარი, ცვლილება 2015 წლის 18 მაისის №994 განკარგულებით |
| 8 | 45233142 | გზის შეკეთების სამუშაოები | 787812 | გამარტივებული ელ. ტენდერი | II კვარტალი 2015 წ | IV კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №39. 2015 წლის 20 იანვარი, ცვლილება 2015 წლის 18 მაისის №994 განკარგულებით |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 45261210 | სახურავის გადახურვა | 129326 | გამარტივებული ელ. ტენდერი | II კვარტალი | IV კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №39. 2015 წლის 20 იანვარი, ცვლილება 2015 წლის 18 მაისის №994 განკარგულებით |
| 0 | 45453000 | შენობის კაპიტალური რემონტი (შეკეთება) რეკონსტრუქცია | 200000 | გამარტივებული ელ. ტენდერი | II კვარტალი | IV კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №39. 2015 წლის 20 იანვარი, ცვლილება 2015 წლის 2 ივნისის №1132 განკარგულებით |
| 1 | 45232151 | მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო აღდგენითი სამუშაოები | 541404 | გამარტივებული ელ. ტენდერი | II კვარტალი | IV კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №39. 2015 წლის 20 იანვარი, ცვლილება 2015 წლის 16 ივნისის №1234 განკარგულებით |
| 12 | 45255110 | ჭაბურღილის მშენებლობა | 244554 | გამარტივებული ელ. ტენდერი | II კვარტალი | IV კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №39. 2015 წლის 20 იანვარი, ცვლილება 2015 წლის 16 ივნისის №1234 განკარგულებით |
| 13 | 44100000 | სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები | 205000 | გამარტივებული ელ. ტენდერი | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება №1381. 2015 წლის 29 ივნისი, |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14 | 45200000 | სამშენებლო სამუშაოები სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ | 295000 | გამარტივებული ელ. ტენდერი | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება №1381. 2015 წლის 29 ივნისი, |
| 15 | 3855000 | მრიცხველები | 361 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 16 | 3971340 | მტვერსასრუტები | 216 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 17 | 16710000 | ხელით სამართავი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები | 4 227 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 18 | 32300000 | ტელე და რადიოსიგნალების მიმღებები... | 334 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 19 | 32324000 | ტელევიზორები | 2 650 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 20 | 34142300 | თვითმცლელი სატვირთო მანქანები | 53 788 | გამარტივებული ელ. თენდერი | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 21 | 37311100 | პიანინოები | 4 675 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 22 | 39100000 | ავეჯი | 222 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23 | 39141000 | სამზარეულო ავეჯი და მოწყობილობები | 2 381 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 24 | 39224340 | სანაგვე ყუთები | 4450 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 25 | 39531000 | ხალიჩები | 834 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 26 | 39711130 | მაცივრები | 10 332 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 27 | 42122130 | წყლის ტუმბოები | 1 463 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 28 | 42214100 | საჭმლის მოსამზადებელი ღუმელები | 779 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 29 | 42993100 | ქლორინატორები | 648 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 30 | 44111000 | მასალები სამშენებლო სამუშაოებისათვის | 9 056 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 31 | 44163140 | ორთქლისა და წყლის მილები | 37 691 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 32 | 44212321 | გადახურული მოსაცდელები ავტობუსების/საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე | 25 173 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 33 | 44611500 | წყლის ავზები/ცისტერნები | 1 496 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 34 | 45112712 | ბაღების მოწყობის სამუშაოები | 3 205 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 35 | 45200000 | მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები | 82 289 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 36 | 45212290 | სპორტულ ნაგებობებთან დაკავშირებული სარემონტო და ტექნიკური მომსახურების სამუშაოები | 6 016 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 37 | 45215400 | სსაფლაოებზე სამუშაოების წარმოება | 31 719 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 38 | 45221110 | ხიდების მშენებლობა | 48 710 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 39 | 45232151 | მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები | 80 638 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 40 | 45232460 | საკანალიზაციო სამუშაოები | 11 283 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 45233000 | გზატკეცილების, გზების მშენებლობა, საძირკველის მომზადებისა და ზედა ფენის გადაგების სამუშაოები | 183 331 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 42 | 45243300 | ნაპირის გასამაგრებელი კედლების მშენებლობა | 10 319 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 43 | 45247112 | სადრენაჟო არხის მშენებლობა | 93 503 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 44 | 45261221 | სახურავის ღებვა | 1 414 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 45 | 45262512 | ქვის გათლა | 611 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 46 | 45316110 | გზის განათების მოწყობილობების მონტაჟი | 92 759 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 47 | 45342000 | ღობეების მონტაჟი | 39 614 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 48 | 45400000 | შენობის დასრულების სამუშაოები | 13 242 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 49 | 45421130 | კარებისა და ფანჯრების ჩადგმა | 4 910 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 50 | 45432110 | იატაკის დაგება | 4 926 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 51 | 50760000 | საზოგადოებრივი ტუალეტის შეკეთება და ტექნიკური მომსახურეობა | 974 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |

" დამტკიცებულია"
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2015 წლის 29 ივლისის № 44 განკარგულებით
საკრებულოს თავმჯდომარე თ.ღვინჯილია

2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტი

დანართი 1

შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება *წალენჯიხის მუნიციპალიტეტი*

შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი *242739248*

დაფინანსების წყარო *ადგილობრივი ბიუჯეტი*

წიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა დაფინანსების წყაროს
ისად 1076400-ლარი

